საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №1026

თბილისი „24“ 11 2017 წ.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „მერმისი“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – საზოგადოებრივ კოლეჯად „მერმისი“ რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 ივნისის N70/ნ ბრძანების მესამე მუხლით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ დირექტორის 2017 წლის 16 ნოემბრის N1403320 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 20 ნოემბრის N1420988 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2017 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით.

2.დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი